ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 4426075167
თარიღი:16/03/2026

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელების მიზნით, კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის“ შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსების თაობაზე.

2. კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) შალვა მშვილდაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/;

ბ) ვარლამ გობეჯიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/;

გ) ფიქრია ხაჭაპურიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე /კომისიის წევრი/;

დ) პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის წევრი/;

ე) ოთარი ფანცხავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის წევრი/;

ვ) მირზა ხიდაშელი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე /

კომისიის წევრი/;

ზ) ვლასი გარდაფხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოსამსახურე /კომისიის წევრი/;

თ) მანანა ჩიხლაძე- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /კომისიის წევრი/;

ი) დავით ჩხობაძე - ააიპ ,,იმერეთის განვითარების ცენტრის'' დირექტორი /კომისიის წევრი/;

კ) თეონა ფურცხვანიძე - ააიპ „სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის ცენტრი“ პროექტების მენეჯერი /კომისიის წევრი/;

3. კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტები.

4.კომისიის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

5.დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.

/დანართი N1 თან ერთვის/.

6.დამტკიცდეს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2-ის შესაბამისად.

/დანართი N2 თან ერთვის/.

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა დანართი N3-ის შესაბამისად.

/დანართი N3 თან ერთვის/.

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

9. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძისქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი